# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება
გაზეთის № 698
დამატების № 125
კვირა, 16 ოქტომბერი 1916 წ.




ღვთისმშობელი სურ. ველასკესისა.

## ორი სიტყვა

I

მზის ამოსვლამდე ვერ მოითმინა,
მწვერვალებს მოსწყდა ნიავი ლაღი,
მთათ ფერდობები გადაირბინა,
ჩატეხა მშვიდთა ყვავილთა თაღი.
მან ჩემი გულიც აიყოლია,
ადრე წაიღო უკაცურ მხარეს
და ეხლა, სადაც მას უკმევსია,
მე მარტოდ-მარტო ცრემლს ვაფრქვევ ცხარეს...

II

მარტოობაში სასო მიხდილი,
ვთრთი შემოდგომის ფოთოლთა თანა
და ჰა, მოვიდა ჩემთან სიკვდილი,
როგორც ძმა მივა ხოლმე ძმასთანა.
ძმანო! მე მივალ სულ შორად, შორად...
ჰა გასაღები ჩემ სახლის კართა:
რაც შიგა ჰპოვონ, გაიყონ სწორად
ჩემთა მოძულეთ და მეგობართა!

მოსკოვი 1916 წ.

ი. მჭედლიშვილი.

## სონეტები

პირველი: ს. ჯ—ს.

ეშხით გახსნილან გიშრის თასში შენი თვალები,
შენი თვალები შაირია სილამაზისა;
როს გაიღიმებ—ირხევიან მთის მწვერვალები,
როს დაფიქრდები—იჩრდილება მდელო ვაზისა.

თავის ამართვა ამაყი გაქვს მთის გავაზისა,
შენს გადმოხედვას სილამაზე ვერ ემალება;
ჰო, რომ იცოდე, ვით თვრებიან შენით ქალები!
ჰო, რომ იცოდე, ვით ხალისობს შენით თმა მზისა!

დრო ულმობელი შენს გიშერსა ნელად ათოვებს,
ხოლო ვეჭვობ კი: შავ განზრახვას ვერ ათავებს;
საზარელია და სასტიკი ხანის კვეთება:

ცელავს და ლეწავს ლალი სიტკობს ნაზ ლერწამებსა,—
მაგრამ შენთან კი თვით სიკვდილიც მხოლოდ შეკრთება
და ჩუმი კოცნით დაგიხუჭავს მაგ წამწამებსა.

გრ. რობაქიძე.

# იცის თუ არა?...

იცის თუ არა, რომ კიდევ მიყვარს
იგი ორგული, ის მატყუარა?

იცის თუ არა, უნახაობით
რომ კვლავ მიშფოთავს სული ობოლი,
მის დანახვაზე რომ გული მითრთის,
ცახცახობს, ვითა ვერხვის ფოთოლი?..

ოხ, ვინ, ვინ მითხრას—იცის თუ არა?..

**

ნეტა რას ფიქრობს? რა ზრახვებს ქ·ელავს
იგი ცფიერი, ის მატყუარა?

იცის თუ არა, რომ დღეს იმაში
მიყვარს მე მხოლოდ დრო ის წარსული,
როცა მეგონა, რო მასში ფეთქავს
გული უმანკო და წრფელი სული?..

დღეს როგორ მიყვარს—იცის თუ არა?..

**

ამ სიყვარულთან—ჩემ სიძულვილსაც,
ჩემ ზიზღსაც თუ გრძნობს... ოხ, გრძნობს თუ არა?..

ნეტა თუ ხედავს, რომ დღევანდელი
მაბრაზებს მისი ცფიერი სახე,
რო მის თვალ-ტანის ცქრიალ-თამაში
სატანის მანქვა-გრეხათ დავსახე?..

ნეტა თუ გრძნობს... ოხ, გრძნობს თუ არა?..

**

ნეტა თუ იცის, რა ცეცხლსაც მიგზნებს
ტანჯული გული? იცის თუ არა,

რომ ორი დევი ებრძვის ურთერთსა:
ერებ-ედემი, აწმყო-წარსული,—
და მეც ვერ მითქვამს, რომელი დასძლევს:
სიძულვილი თუ კვლავ სიყვარული?..

ნეტა თუ იცის? იცის თუ არა?!..

**სილოვანი.**



ქ. საქველმოქ. საზოგადოების თავშესაფარი ბათომში.

# რად ვსტირი?

კეკლუც კოლხეთის ცქრიალა შვილი
ცელქნარ ქარივით მე დავნავარდობ,
და თუმც სახეზე დამქრის ღიმილი
მე მაინც ვსტირი! მე მაინც ვდარდობ.

—

მე ხომ მზის გულში ვარ ამოზრდილი,
ვეტრფვი სინათლეს, ვეტრფვი სინაზეს,
და ჩემი სული ბროლივით თლილი
ეძებს სიყვარულს და სილამაზეს.

—

მაგრამ ეს გრძნობა, გრძნობა მ·ღალი,
ვერ დააფასეს, არად ჩამაგდეს,
და საპასუხოდ ღიმილი მწყრალი
ვით მოწყალება მე გადმომიგდეს.

—

და მიტომ ვსტირი მე ცხუნარ ცრემლით,
და მიტომ ვსტირი გულგადამწვარი,
რომ მომიქარგეს ღიმილი ეკლით,
და მომაყარეს გრილი ნაცარი.

**მარ· ჯან.**



„ორთაბათონის მომხმარებელი საზოგადოების"

# წვეთი

წვეთი, აწვერვალს მოსხლეტილი, დანაკარგი მთის,
მწვანე მოლზე დაციგლიგებს, დაკანკალებს, თრთის.

მოლის ყლორტზე თავს იმაგრებს, მოლის ყლორტზე ზის;
მზის სხივებსა შესთამაშებს, ხიბლავს სახე მზის.

ველარ უძლებს მწველსა სხივებს და ·ლივა ის
და ნელ-ნელა იორთქლება, მაღლა ც· ·კ·ნ ·რბის.

**იპო ჯინორიძე.**



ორთაბათომის კოოპერატ. დუქანი.



†მსახიობი ეველინა წუწუნავა.

# ერთი კვირა ტასიკოს დღიურიდან

### ორშაბათი 15 ივლისი.

ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რისთვის ჩამოვედი ქუთაისში? წუთი მისთვის, რომ ვტანჯო ჩემი თავი და სხვაც? მერე რისთვის? სულ ფუჭად, უნაყოფოდ. ნეტა ისე ჩქარა მაინც წავიდე აქედან, რომ აღარსად შევხვდე ლადიკოს. აღარ შემიძლიან მასთან მშვიდად ლაპარაკი... არა, აღარ შევხვდები მას და აღარც წავყვები აღარავითარ გელათში. გელათში კი არა სამოთხეშიაც აღარ წავყვები მას!.. ღმერთო ჩემო, მე ხომ ფიქრადაც არ მომივიდოდა კოცნა... მერე ვისი? ისიც ახლად გაცნობილ ყმაწვილის... არა, მე მას აღარსად წავყვები... აღარსად წავყვები... მაგრამ რო წავყვე?.. განა შეიძლება ასე აებნიოს გზა-კვალი და თავბრუ დაესხას ადამიანს, როგორც მე მიყო ლადიკომ?.. ოჰ, ლადიკო... ეს ნამდვილი ციებცხელებაა და როგორ განვიკურნო თავი? როგორ გავექცე ყველაფერს ამას? სად გავექცე? რა წყალში ჩავვარდე? არა, უნდა უეჭველად გავნთავისუფლდე ამ ჭირისაგან. ეს ხომ სიყვარული არ არის. ეს მხოლოდ გატაცებაა თვალაბლესილი, გადარეული და მასთან ქარიშხლიანიც...

ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რად ჩამოდევი ქუთაისში?!

### სამშაბათი, 16 ივლისი.

ღმერთო! რა იყო ეს? ნუ თუ ყველაფერი ნამდვილად მოჰხდა?! წუხელის კიდევ შევხვდი ლადიკოს... ღმერთო! ეს ხომ ფიქრადაც წარმოუდგენელია! ნუ თუ ყველაფერი სიცხადე იყო?.. განა იქ, სადაც კაცს მხოლოდ თრთოლა, ყელში მობჯენილი ხმით ლაპარაკი და ხელების ფათური შეუძლიან, შეიძლება იყოს სიყვარული?.. ეს ყველაფერი ჯანდაბას, მაგრამ ირაკლიც რომ ჩამოვიდა! იმას ხომ შეეხება ეს ყველაფერი. იმას ხომ მე ვკოცნიდი და ისიც სიყვარულს მეფიცებოდა? ეს უფრო მეტი საშინელებაა... ირაკლიმ რომ გაიგოს ეს ყველაფერი?.. ნეტავ ირაკლი არ ჩამოსულიყო და! ღმერთო! დაიფარე ყველა ამ საშინელებისაგან! მალე მაინც დაშოშმინდეს ყველაფერი! მაგრამ ამდენს რათა ვწუხ ამაზე, ეს თავის თავად გათავდება: ლადიკოც დამივიწყებს, ირაკლიც, Д—ც და ჩაივლის ყველაფერი, ყველაფერს ჩაილულის წყალი წაიღებს, ოღონ როგორმე ჩავიდე ჩემს კარგს, მშვიდს მშვენიერს და მყუდრო ქვიშხეთში.—როგორ მეშინიან აქ დარჩენისა! ხომ ისიც შესაძლებელია, რომ ლადიკოს კოცნათა სიმრავლეში დავკარგო გონება!.. მე უნდა უეჭველად ვინახულო ირაკლი, და ვეცადო კი, რომ წუხანდელი ამბისა ვერაფერი შემიტყოს...

ღმერთო რა იყო ეს? ნუ თუ ყველაფერი ნამდვილად მოხდა?..

### ოთხშაბათი 17 ივლისი.

მე ირაკლის სანახავად წავედი და ისევ ლადიკო კი ვნახე, ოჰ, რა ძნელი და რა საშინელი იმაში დარწმუნება, რომ მე ირაკლი სრულებით არა მყვარებია. თურმე გატაცება ყოფილა და სხვა არაფერი. აქამდი მეგონა, რომ ირაკლი მიყვარდა და ის მიხსნიდა ლადიკოს ალტყინებისაგან. ეს ერთად-ერთი მისაყრდნობი ბოძიც წაიქცა და ეხლა რაღას მოვკიდო ხელი? რაღამ მიხსნას?.. რა ტანჯვა! ახლა ირაკლი გაიგებს მე და ლადიკოს ამბებს და ხომ დაიტანჯება? მერე ამ ტანჯვათა მიზეზი ხომ მე ვიქნები?! ნეტავ როდის გათავდება ეს ყველაფერი?..

დავიჯერო არ შემიძლიან ერთის შეყვარება და სულ მუდამ გატაცებული ვიქნები ყოველ ახლად გაცნობილ ყმაწვილით?.. რა გაუფრთხილებელი ვარ! განა შეიძლება ასე მიენდოს ქალი ცელქ ბიჭუნებს? მერე ისეთ ბიჭუნებს, როგორც ლადიკო არის?! მაგრამ ეს მოჰხდა ისე საკვირვლად, ისე მოულოდნელად, რომ ვერც კი მოვასწარ გამეფრთხილებინა ჩემი თავი. რა უნდა ვქნა ეხლა? როგორ გამოვასწორო საქმე?.. მეათასედ ვაძლევ ჩემს თავს ამ ერთსა და იმავე კითხვას და პასუხი მაინც ვერასგზით ვერ მომიგონია...

დავიჯერო, ჩემი წასვლის შემდეგ არ დამივიწყებს ლადიკო სამუდამოდ?—რა საკვირველია დამივიწყებს! ის ყველაფერი სისულელე იყო. მაგრამ ირაკლის როგორ მოვექცე? არ ვინახულო?..

მე ირაკლის სანახავად წავედი და ისევ ლადიკო კი ვნახე...

### ხუთშაბათი 18 ივლისი.

კიდევ კოცნა, კიდევ თრთოლა, ხმაჩაწყვეტილი ლაპარაკი და ხელების ფათური! განა არ შემეძლო, ეს ყველაფერი მეგობრობად მექცია და და-ძმურად ვყოფილიყავით მე და ლადიკო? მე ხომ დარწმუნებული არა ვარ, მომავალშიაც მეყვარება ლადიკო, თუ არა? მერე რო აღმოჩნდეს, რომ არ მიყვარს? ეს ხომ დაცინვა იქნება ლადიკოსი? არა, ასე ალალბედად მოსვლა კაცთან არ ვარგა!

ნეტავ ვილაპარაკებ როდისმე მასთან მშვიდად, დინჯად? ან ის როდისმე იგრძნობს დინჯად ჩემს გვერდით თავს?.. ნეტავ რა საჭირო იყო ამ ტრაღი-კომედიის თამაში? ხომ არავითარი სიყვარულის ხსენებაც არ შეიძლება ჩვენ შორის?.. საინტერესო კია, კაცმა ჰკითხოს თვითონ მას, თუ რას ეძახის იგი „სიყვარულს“? ეს სიტყვა ყველასათვის ხომ ერთს არა ჰნიშნავს? ყოველ შემთხვევაში ყოვლად შეუძლებელია ამ საშინელს, პირუტყვულს ალტყინებას კაცმა სიყვარული უწოდოს. ეს შეურაცხყოფა იქნებოდა იმ სიყვარულისა, რომელიც მე მაქვს წარმოდგენილი... თუ სიყვარული იყო მასში, ისე რად კანკალებდა, ისე გიჟივით რად იცინოდა?.. ღმერთო! რატომ მაშინვე არ გავშორდი, როდესაც მითხრა მიყვარხარო? რაღად დავრჩი მასთან? ხომ იფიქრებდა, ამასაც ვუყვარვარო? სწორედ სულელი ვიყავ, რომ არ ვუთხარი: „გამშორდი! მე სხვა მიყვარს!..“ და რა უსინიდისოდ უყურებდი თვალებში, რა უსინიდისოდ ვეუბნებოდი, მე და ირაკლის არაფერი საერთო არა გვაქ-რა მეთქი! არა სჯობდა მეთქვა გამშორდი მეთქი და გადავარჩენდი ირაკლისაც, ჩემს თავსაც... როგორ შემეზიზღა ჩემი თავი! განა შეიძლებოდა ადამიანი იქამდე დაეცეს, რომ არამც თუ საყვარელ კაცს, არა საყვარელ კაცსაც კი აკოცნინოს? რა სიბინძურეა! რა სისაძაგლე!..

კიდევ კოცნა, კიდევ თრთოლა, ხმა ჩაწყვეტილი ლაპარაკი და ხელების ფათური!

### პარასკევი 19 ივლისი.

მე და დარიკო ქალაქში წავედით საქმეზე იმის იმედით, რომ ლადიკოს აღარსად შევხვდებოდით, რამ დახე საკვირველებას! ვინ იფიქრებდა, თუ წმინდა ნინოს სასწავლებელში ვნახავდი ლადიკოს? არ მინდოდა მისი შეხვედრა, გრამ სიამოვნებამ გამაცვიფრა, როდესაც დავინახე იგი. გუშინდელი ფიქრებისა და შეხედულებების კვალი მთლად წარიხოცა ლადიკოს დანახვაზე. ავღელდი,

მაგრამ მალე ყველაფერი ისევ ჩვეულებრივს, მყუდრო კალაპოტში ჩადგა. მშვიდათ იყო გული თვით მაშინაც კი, როცა მარტო დავრჩით. ეხლა უფრო მეტად დავრწმუნდი, რომ გუშინდელი ჩემი ფიქრები ყალბი ფიქრები იყო და სანამდვილე სულ სხვა არის. თითქო ვრწმუნდები, რომ კომედიას ვთამაშობდი და ლადიკოს მხოლოდ ჩემი თავბრუს დასხმა უნდოდა. გაბრაზებულმა ვუთხარი ლადიკოს: მე თქვენ ველარ განახავთ, დღეს მივდივარ ქვიშხეთში“, და გამოვემშვიდობე. ლადიკომ მთრთოლვარედ მომიჭირა ხელი და მშვიდად მითხრა, მშვიდობითაო. ისე მშვიდად გაბრუნდა, თითქო წყალზე იყო, წყალი დალია და გულგ-გარილებული ბრუნდებაო...

მე ვატყობ, ლადიკოს არ უყვარვარ, მაგრამ მაინც რად დავრჩი ისევ? რატომ არ წაველ ჩემს მყუდრო ქვიშხეთში? ვერ გამიგია, რა მიჭერს აქ?..

როგორა მწყინს, რომ მე ეხლა სრულებით აღარ შემიძლიან მასთან მშვიდად ლაპარაკი და ის ხომ ისეთი კარგი, მეტად უბრალო, გულში ჩასახუტებელი ბიჭიკო არის? მაგრამ მე გამოვემშვიდობე... რისთვის შევიცვალე სახე?.. ყველაფერი ისე კარგა იყო! ლამაზად, მხიარულად მიდიოდა საქმე... მაგრამ წარსულს აღარა ეშველება-რა!

ნეტავ არ წავსულიყავით მე და დარიკო ქალაქში საქმეზე!

### შაბათი 20 ივლისი.

ნათლად მაქვს წარმოდგენილი, თუ როგორი წამება იქნება ჩემთვისა და ლადიკოსათვის ხვალ გელათში წასვლა. ჩვენ მივდივართ და დარიკოს ლადიკოც დაუპატიჟნია. იმას უთქვამს: იქნება წამოვიდეო, არა, ის იმდენად სინიდისიერი ყმაწვილია, რომ არ წამოვა გელათში. მაგრამ მე მაინც რად მინდა რომ წამოვიდეს? მე ულადიკოოდ ძალიან მოწყენილი ვიქნები! როგორ მოვახერხო, რომ ის უეჭველად წამოვიდეს?.. იქ უნდა მას საფუძვლიანად დავუმტკიცო, რომ მე ის არ მიყვარს, მაგრამ მასთან დარჩენა კი მინდა, როგორც ძმასთან, მეგობართან. მაგრამ როგორ მოვახერხო ეს? აი, რაზე უნდა ვიმტვრიო თავი?.. უნდა დღეს საღამოზე უეჭველად მოვძებნო ლადიკო და ვუთხრა, რომ მოლაპარაკება მინდა და ხვალ უეჭველად წამოვიდეს გელათში. თავი უნდა როგორმე შევიკავო და დარბაისლურად ველაპარაკო, ისე როგორც დარბაისელი ამხანაგი დარბაისელ ამხანაგს... ნეტავ კი შევძლო ყველაფერი ეს! ღმერთო! მომეცი ძალა, განზრახული საქმე კეთილად ავასრულო! დინჯისა და დარბაისელ ლაპარაკით მე ბევრს გამოვარკვევ, დავაშოშმინებ და შევცვლი, ეს ლაპარაკი უფრო კარგა იმოქმედებს, ვიდრე სხვა წამალი. . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . .

ნათლადა მაქვს წარმოდგენილი, თუ რა წამება იქნება ჩემთვის და ლადიკოსათვის ხვალ გელათში წასვლა.

### კვირა 21 ივლისი.

რა დიდი იმედები მქონდა გუშინდელი საღამოსი და რა საშინლად გამიცრუვდა ყველაფერი. რასაკვირველია, არავითარი დარბაისლობა და დილით გაფიქრებული აზრები არ გამოდგა საღამოთი. იმან ჩვეულებრივად მკოცნა, მეც ვკოცნე და ხმა არც კი ამოგვილია. ეს რასაკვირველია წამის საქმე იყო, მაგრამ ეხლა ვრწმუნდები, რომ ყველაფერი რთულდება, ღრმავდება... რა მომდის? მე თვითონ მიკვირს, რატომ არა ვშორდები ლადიკოს? ხომ ვხედავ საქმე ძველებურად მიდის და ჩემი სათქმელი აზრი უთქმელი რჩება? სამი დღის წინად მხოლოდ შეზარხოშებული ვიყავი ლადიკოს ხვევნით, წუხელ კი ჩემში რაღაც დიდმა, საშინელმა დაიხმაურა... ვთვრები... რა გრძნობა მაქვს ლადიკოსადმი, ვერ გამომირკვევია. ძლიერი კია ეს გრძნობა. მე ამ გრძნობას სიყვარულს არ დავუძახებ, რადგანაც მე უფრო კარგადა მაქვს იგი წარმოდგენილი. არც იმისთვის დავუძახებ მას სიყვარულს, რომ წინანდელ გატაცებებზე უფრო ღრმა არის...

ნეტავ რად უნდა ლადიკოს იმისი სახელი, ვისითაც უკანასკნელად ვიყავ გატაცებული?.. ხომ არაფერი უნდა უთხრას მას?.. მაგრამ მაინც არა მგონია ლადიკოს ვუყვარდე. ვერ შევურიგდები იმ აზრს, რომ ერთი კვირის განმავლობაში შეიძლებოდეს კაცის შეყვარება. მერე რომ უყვარდე, ის ისე აკანკალდებოდა, ისე ჩაუწყდებოდა ხმა და ისე ცოფიანივით დამისრესდა ხელს? ყველაფერი: კოცნაც, ალერსიც შეიძლებოდა მშვიდად, ჭკვიანურად...

დავიჯერო თავს ველარ შევიკავებ და დავმორჩილდები ლადიკოს?.. ღმერთო, დამიფარე ყველა საშინელებისაგან... მაინც ვერ გამიგია, რა მეწევა იმისკენ და, მიუხედავად ყველა ამისა, რად მიდგას მუდამ თვალ წინ მისი სახე? იმისი სახე ჩემს თვალებში რად არის ისევ ისეთი წმინდა, კარგი და ბრწყინვალე?..

ასე მეუბნება ლადიკო, შენ ჩემი პირველი გატაცება ხარ, პირველად შენა გკოცნი ჩემი დაბადების დღიდანაო. როგორ დავუჯერო, არ ვიცი. მართალია ბევრს მეფიცება, ფიცითა და მრავალის დამტკიცებით ებრძვის ჩემს ეჭვიანობას, მაგრამ როგორ დავუჯერო, კაცი სტუდენტი იყოს და არავისთვის ეკოცნოს. ამბობს: რომ ეს პირველი გატაცება და პირველი კოცნაა, მართალია, მაგრამ უკანასკნელობისა კი რა მოგახსენოო... რა კარგია ლადიკო! მინდა მუდამ წუთს ჩახუტებული ვიყო მასთან...

რა დიდი იმედები მქონდა გუშინდელი საღამოსი და რა საშინლად გამიცრუვდა.

### ორშაბათი 22 ივლისი.

ეხლავ გავიქცევი ირაკლისთან, Д—სთან და გავწყვეტ მათთან ყოველგვარ კავშირს, „ვეტყვი, რომ თვალით აღარ დამენახონ. მას შემდეგ, რაც ასე ძალიანა ვარ გატაცებული ლადიკოთი, აღარ შემიძლიან მათი დანახვა, ხმის გაცემა. დეე ნულარასოდეს ნულარ შემხვდებიან იგინი, რომელთა შეხვედრაც მხოლოდ მაღელვებს და გუნებას მიფუჭებს. მე არავითარი მოთაყვანენი არ მინდა... მაგრამ არა სჯობიან, ეს ისე მოვახერხო, რომ არ გავაბრაზო, არ შეურაცვყო იგინი? რაც უნდა ცუდი კაცი იყოს მაინც კაცია და მის გრძნობებს ანგარიში უნდა გაუწიო, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ირაკლისა და Д—ს ჩემდამი გრძნობა არც ასე ღრმა არის... მაინცა და მაინც შეუძლიან კია კაცს ღრმა სიყვარული? ამისი ძალიან მეეჭვება. დავკარგე რა იმედი ირაკლისა და Д—ს სიყვარულისა, აღარა მგონია ვისმე-ღა სიყვარულს დავუჯერო. მაგრამ რად დავივიწყე ისინი? ისინიც ხომ ისეთივე კაცები არიან, როგორც სხვები იქნებიან! ნუ თუ ყველა უნდა მივატოვო, ყველა უნდა ჩამოვიშორო. ვიღაც ლადიკოსათვის? ნუ თუ იმისთვის ვიფარავდი ჩემს ტანს გაზაფხულის მწერთაგან, ზაფხულის სიცხისაგან და ზამთრის ყინვებისაგან, რომ ლადიკოს მივუტანო მსხვერპლად? ლადიკო რო მატყუებდეს, მაშინ? მაგრამა მგონია რომ ლადიკო იმდენს ვერ მიზა-ს, რამდენის ატანაც შემიძლიან. ყოველშემთხვევაში ჯანდაბას ყოველიფერი ძველი. ორი საათის შემდეგ და ვინ იცის ადრეც მე თავისუფალი ვიქნები ირაკლისა და Д—საგან. ეხლავე გავიქცევი მათთან და გავწყვეტ ყოველგვარ კავშირს.

ღმერთო მიშველე!

მოსკოვი 27 სექტ. 1916 წ. ი. მჭედლიშვილი.

## კარიკატურა



ტფილისის ტრამვაი.